



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 29 დეკემბერი

**დისციპლინური საქმე №122/19  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

--- წარმომადგენლის --- 2019 წლის 5 ივლისს წარმოდგენილი №122 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>ა</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>ბ</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 ივლისის წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 5 სექტემბერს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ --- სასამართლოს მოსამართლე --- იხილავდა დავას, რომელიც ასევე განიხილება --- სასამართლოში. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე ვალდებული იყო შეეჩერებინა საქმის წარმოება უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დასრულებამდე, თუმცა არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და გააგრძელა საქმის განხილვა.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2019 წლის 5 თებერვალს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით (--- ლარი, ასევე --- ლარის წლიური 10% გადახდის დაკისრება 2019 წლის 29 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე). სარჩელი განსახილველად იქნე მიღებული, მოსარჩელეს განესაზღვრა ვადა მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარების.

2019 წლის 6 თებერვლის განჩინებით --- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რომელიც გასაჩივრდა --- მიერ. 2019 წლის 27 თებერვლის განჩინებით, --- საჩივარი არ დაკმაყოფილდა, საქმე გადაეგზავნა --- სააპელაციო სასამართლოში. --- წარმომადგენელმა 2019 წლის 14 თებერვალს წარადგინა შესაგებელი.

მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2019 წლის 21 მარტს, შემდგომი განხილვა დაინიშნა 2019 წლის 7 მაისს, შემდგომი - 2019 წლის 27 ივნისს, ასევე განხილვა გაგრძელდა 2019 წლის 12 ივლისს.

2019 წლის 11 აპრილს -- -- წარმომადგენელმა მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესახებ 14.06.2018 წლის ხელშეკრულება. 2019 წლის 12 ივლისის განჩინებით ღია -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის მიღებაზე (განჩინება გასაჩივრდა კერძო საჩივრით).

2019 წლის 23 ივლისს სასამართლოში შევიდა წერილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან, რომლის მიხედვით „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის ფარგლებში იგზავნებოდა -- რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროდან შემოსული -- -- შუამდგომლობა, -- -- და -- -- სარჩელის განუხილველად დატოვების თხოვნის შესახებ.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 სექტემბრის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

მოსამართლე -- -- წარმოებაში არსებული სამოქალაქო საქმეზე, 2019 წლის 14 თებერვალს -- -- მიერ წარდგენილ შესაგებელში მითითებულია, რომ კონკრეტულ მხარეებს შორის, წინამდებარე საქმის ფარგლებში დავა იხილება -- -- სასამართლოში და მიმდინარეობს სამართალწარმოება. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მოპასუხემ იშუამდგომლა სარჩელზე საქმის შეჩერების თაობაზე. (შესაგებელზე დართულია -- -- სასამართლო შეტყობინება სასამართლო სხდომაზე დაბარების თაობაზე, 26.02.2019 წელს 11:00 საათზე). -- -- წარმომადგენელმა წარადგინა -- -- სასამართლოს დადგენილებაა, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ღია აქციონერთა საზოგადოება -- -- და -- -- შორის ხელმოწერილი 2018 წლის 22 მაისის საკონსულტაციო ხელშეკრულება და -- -- და -- -- შორის ხელმოწერილი 2018 წლის 14 ივნისის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება.

2019 წლის 27 ივნისის სხდომაზე მოსამართლე -- -- წარდგენილ შუამდგომლობაზე განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში: თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, თუ ერთი და იმავე სარჩელის თაობაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის მიმდინარეობს სამართალწარმოება საქართველოსა და უცხო ქვეყანაში და ეს სარჩელი პირველად უცხო ქვეყნის სასამართლოს ექვედებარებოდა, საქართველოს სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას. საქმის წარმოება არ შეჩერდება, თუ არსებობს შესაძლებლობა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო შესაბამის

ვადამი გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან საქართველოში ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება. მოსამართლე აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანი გამომდინარეობდა საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესახებ 2018 წლის 14 ივნისის ხელშეკრულებიდან, ხელშეკრულების მიხედვით შესრულების ადგილი იყო საქართველო. მოპასუხის მიერ წარდგენილი მასალების მიხედვით, -- -- სასამართლომ 2019 წლის 14 მარტს მიიღო გადაწყვეტილება 2018 წლის 14 ივნისის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, (გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში, იგი გასაჩივრდა). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მიხედვით შესრულების ადგილი იყო საქართველო, მოპასუხემ -- -- სასამართლოში აღძრა სარჩელი, მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მხარის მიერ, კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში განხილული უნდა იქნას გადაწყვეტილების საქართველოში ცნობის საკითხი, რაც შესაბამის ვადაში ვერ განხორციელდება და, ამასთან, -- -- სასამართლოში აღძრული სარჩელის დავის საგანი შეეხება მხოლოდ აღიარებით მოთხოვნას ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, ყოველივე აღნიშნული გამორიცხავს -- -- სარჩელის გამო საქმის წარმოების შეჩერებას. ამდენად წარმდგენილი შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე შუამდგომლობის დაკმაყოფილების (უარის თქმის) შესახებ განჩინება/საოქმო განჩინების მიღებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და კონკრეტული საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავიანთი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული განჩინების კანონიერებაზე.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (Barbera, Messegue, Jabardo v. Spain, §68).

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 სექტემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- წარმომადგენლის -- -- №122 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **გადაწყვიტა:**

-- -- წარმომადგენლის -- -- 2019 წლის 5 ივლისის №122 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**